

შპს გენ დიზაინი

საიდენტიფიკაციო ნომერი: 416310469

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

შინაარსი:

- ფინანსური საქმიანობის ანგარიშგება (ფორმა №1)	2
- საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (ფორმა №2)	3
- კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება (ფორმა №3)	4
- განმარტებით შენიშვნებს.	5

შპს გენ დიზაინი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 416310469
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი)

	შენიშვნა	31/12/2019	31/12/2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები		110771	26568
სავაჭრო მოთხოვნები		16213	29521
გადახდილი ავანსები		51720	35776
მარაგები		651124	735177
მზა პროდუქცია		0	0
სხვა		651124	735177
საინვესტიციო ქონება		0	0
სხვა მიმდინარე აქტივები		0	3
ბიოლოგიური აქტივები		0	0
თვითღირებულების მოდელით		0	0
გადაფასების მოდელით		0	0
გუდვილი		0	0
სხვა არამატერიალური აქტივები		1192	1417
ძირითადი საშუალებები		179846	51364
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0
სულ აქტივები		1010866	879826
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება		0	0
სავაჭრო ვალდებულებები		27695	27796
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		9900	10350
საგადასახადო ვალდებულებები		2475	2587
გამომუშავებული შემოსავალი		0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		0	0
მიღებული გრანტები		0	0
სხვა ვალდებულებები		828	0
სულ ვალდებულებები		40898	40733
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		386000	356000
საემისიო შემოსავალი		0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		583968	483093
გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა რეზერვები		0	0
სულ საკუთარი კაპიტალი		969968	839093
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1010866	879826

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გენერალური დირექტორის მიერ
2020 წლის 30 სექტემბერს

შპს გენ დიზაინის დირექტორი:

ბუღალტერი:



/გიორგი დალავიშვილი/

/ირმა გარსევანიშვილი/

შპს გენ დიზაინი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 416310469
საქმიანობის შედეგები


2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

	შენიშვნა	2019
ნეტო ამონაგები		2336613
საქონლის გაყიდვიდან		2336613
მომსახურების გაწვიდან		0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0
სხვა		0
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-2027543
საწყისი მარაგები		-735177
მარაგების შესყიდვა		-1943490
გადამუშავების დანახარჯები		0
საბოლოო მარაგები		651124
საერთო მოგება		309070
სხვა შემოსავალი		0
დასაქმებულთა ანაზღაურება		-100944
ცვეთა და ამორტიზაცია		-15649
საპროცენტო შემოსავალი:		0
საპროცენტო ხარჯი :		0
იჯარის ხარჯი		-13342
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-78841
სულ საოპერაციო ხარჯები		-208776
საოპერაციო მოგება		100294
ფინანსური აქტივები		0
მარაგები		0
სხვა არაფინანსური აქტივები		0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		581
მიღებული დივიდენდები		0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		0
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		100875
მოგების გადასახადი		0
მოგება/(ზარალი)		100875

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ
2020 წლის 30 სექტემბერს

შპს გენ დიზაინის დირექტორი:

ბუღალტერი:



/გიორგი დათაშვილი/

/ირმა გარსევანიშვილი/

შპს გენ დიზაინი
 საიდენტიფიკაციო ნომერი: 416310469
 საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		839093	921509
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		30000	-144000
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		100875	61584
სულ საკუთარი კაპიტალი		969968	839093

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ
 2020 წლის 30 სექტემბერს

შპს გენ დიზაინის დირექტორი:

ბუღალტერი:

 /გიორგი დალალიშვილი/
 /ირმა გარსევანიშვილი/



1. შპს „გენ დიზაინი“-ს მონაცემები

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გენ დიზაინი“ გადასახადის გადამხდელად ირიცხება 2014 წლის 19 თებერვლიდან და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 416310469.

იურიდიული მისამართი: საქართველო, რუსთავი, XXI მ/რ, კორპ. 13 ბ. 59

ფაქტიური მისამართი: რუსთავი ლეონიძისა და მოდებაძის ქუჩების მიმდ/ტერ.

რუსთავი XVI მ/რ მიმდ/ტერ. (ბაზრობის ტერიტორია)

დამფუძნებელი: გიორგი დალალიშვილი (პირადი ნომერი 35001000329) 34% წილით.

ნიკოლოზი დალალიშვილი (პირადი ნომერი 35001025286) 34% წილით.

ენვერი დალალიშვილი (პირადი ნომერი 35001035958) 32% წილით.

დირექტორი: გიორგი დალალიშვილი (პირადი ნომერი 35001000329).

2. საწარმოს ძირითადი საქმიანობა

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა საცალო ვაჭრობა ავეჯის დასამზადებელი მასალებითა და აქსესუარებით, ავეჯის დამზადება.

საწარმოს მასალები შემოაქვს ადგილობრივი მომწოდებლებისგან.

საწარმოს შენობა-ნაგებობები იჯარით აქვს მიღებული.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

1.1. მოცემული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს მიერ მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის.

1.2. საწარმოს საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;

1.3. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის;

1.4. საწარმო წინა საანგარიშგებო პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის

შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგენის სისტემაზე გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან;

1.5. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც საწარმო იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ საწარმოს პირობებში არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა;

1.6. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული კურსით;

1.7. საწარმო ძირითადი საშუალებების აღრიცხვისას იყენებს თვითღირებულების მოდელს;

1.8. საწარმოში ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები საანგარიშგებო პერიოდისთვის დადგენილი არ ყოფილა და ანგარიშგებაში გაუფასურების ზარალი არ დაფიქსირებულა;

3.1. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

3.2. საწარმოს საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში იყო 839093 ლარი. საანგარიშგებო პერიოდში კაპიტალი გაიზარდა 30000 ლარით ხოლო ფინანსურმა მოგებამ 100875 ლარი შეადგინა, შედეგად, საწარმოს საკუთარმა კაპიტალმა საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეადგინა 969968 ლარი.

3.3. საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებებში ასახული (გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);

3.4. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2020 წლის 30 სექტემბერს;

3.5. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია;

3.6. საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მსს ფასს-ის შესაბამისად;

3.7. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშგებას (ფორმა №1)
- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას (ფორმა №2)
- კაპიტალის მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას (ფორმა №3)
- განმარტებით შენიშვნებს.

4. აქტივები

საწარმოს აქტივების ძირითად ნაწილს წარმოადგენს ფული და ფულადი ექვივალენტები, გასაყიდად განკუთვნილი სასაქონლო მარაგები და სავაჭრო მოთხოვნები კრედიტორების მიმართ.

4.1. ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და საწარმოს სალაროში არსებულ თანხებს.

4.2. მოთხოვნები დებიტორების მიმართ

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. შესაბამისად კლასიფიცირდება მოკლევადიან აქტივებად. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარდება საქონლის გასაყიდი ფასის ოდენობით.

საწარმოს სავაჭრო მოთხოვნები წარმოიშვება ჩვეულებრივ სავაჭრო ურთიერთობაში ზეპირი გარიგების შედეგად და მათი ოდენობა განისაზღვრება ვაჭრობის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

4.3. გადახდილი ავანსები

საწარმოს გადახდილი ავანსები წარმოადგენს წინასწარ გადახდილ თანხებს საქონლის შესყიდვის მიზნით. საბიუჯეტო გადასახდელების ზედმეტობებს.

4.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ გასაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც აქტივი არის იმ ადგილას, ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთიდან ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად საწარმო იყენებს

ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რაც გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

სხვადასხვა სახის ინვენტარის სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 2-3 წელს მოწყობილობა-დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 6-8 წელს.

არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენს საწყობისა და ბუღალტრული პროგრამა „FMG“, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადა 10 წელია.

დარიცხვის მეთოდი - წრფივი.

ძირითადი საშუალებების აღიარება შეწყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლობის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის და ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება ზარალში.

4.5. სასაქონლო მატერიალური მარაგები

საწარმოში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება სხდება თვითღირებულებით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შემენის დანახარჯებს. შემენის დანახარჯები მოიცავს: შემენის (ნასყიდობის) ფასს; საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსთვის დასაბრუნებელი გადასახადებისა); სხვა პირდაპირი ხარჯები აღიარდება დამოუკიდებლად როგორც ხარჯი.

4.6. დამატებითი ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებითი ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით. დამატებული ღირებულების გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას: მომხმარებლისგან მისაწოდებელი საქონლის ან მომსახურების გაწევამდე მიღებული ავანსი, ან საქონლის და მომსახურების მიწოდება.

4.7. შემოსავლის აღიარება

შემოსავლის შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. საწარმო საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებულ ამონაგებს აღიარებს, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და საგებელს.

4.8. ხარჯის აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

ხარჯები სრულის შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ.

5. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა საწარმოს ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომელიც გავლენას არ ახდენს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში). 2019 წლის საანგარიშო პერიოდში ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის საწარმოში არ ქონია ადგილი ისეთ მოვლენებს რას საჭიროებს ანგარიშგებაში მოცემული პერიოდის კორექტირებას ან შენიშვნაში მათ ასახვას.

შპს გენ დიზაინის დირექტორი:



/გიორგი დალალიშვილი/

ბუღალტერი:



/ირმა გარსევანიშვილი/

